**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# მდენარი

მდენარი, ქართული ლექსის სახეობა. საერთო რითმაზე გაწყობილი 16-მარცვლიანი ლექსი, რ-იც 7 ტაეპისაგან შედგება. ბოლო ტაეპში მოხსენიებულია ავტორის სახელი. მ-ს დ. გურამიშვილი „დინარს“ უწოდებს, ხოლო მამუკა ბარათაშვილი – „გრძელშეწყობილს“.

*ლიტ.*: ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი მ., ჭაშნიკი, სწავლა ლექსის თქმისა, თბ., 1981; ბ ა რ ბ ა ქ ა ძ ე თ., ქართული ლექსმცოდნეობა, თბ., 2014; მ ი ქ ა ძ ე გ., ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974.

***გ. მიქაძე***